



# საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 21  
05/04/2017

21-06-4-201704051756



## განკარგულება № 21

5 აპრილი, 2017 წელი

ქ.ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 მარტის „სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლისათვის სამშობლოსათვის თავდადებული თემურ ჭიტაძის სახელის მინიჭების შესახებ“- სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ინიციატივის განხილვის თაობაზე“ N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-მე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ


## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

**მუხლი 1.** შეტანილ იქნას ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 მარტის „სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლისათვის სამშობლოსათვის თავდადებული თემურ ჭიტაძის სახელის მინიჭების შესახებ“- სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ინიციატივის განხილვის თაობაზე“ განკარგულებაში და ტექსტში ნაცვლად სახელის „თემურ“-ისა ჩაიწეროს დაბადების მოწმობაში დარეგისტრირებული სახელი „თეიმურაზ“.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის. ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №1)

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'D. Darchia'.

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო